# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

## ბრძანება №2-647

**2024 წლის 18 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №2-422 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

1. „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №2-422 ბრძანებაში (ვებგვერდი, 13/04/2021, სარეგისტრაციო კოდი 340030000.22.023.016664) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი მუხლის „ჰ$^{6}$“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ცხოველური წარმოშობის, მათ შორის, ფრინველისა და თევზისაგან მიღებული საკვებისა და საკვებდანამატების ექსპორტისათვის (დანართი №39)“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ჰ$^{78}$ - ჰ$^{81}$ ქვეპუნქტები:

„ჰ$^{78}$) ვეტერინარული სერტიფიკატი ისრაელში საამქროს მიერ წარმოებული ცხოველის საკვებად განკუთვნილი ძაღლის საღრღნელი ძვლის ექსპორტისათვის (დანართი №111);

ჰ$^{79}$) ვეტერინარული სერტიფიკატი ისრაელში საამქროს მიერ წარმოებული შინაური ბინადარი ცხოველის საკვების ექსპორტისათვის (დანართი №112);

ჰ$^{80}$) ვეტერინარული სერტიფიკატი ისრაელში ექსპორტისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტების შემცველი ძაღლის საღრღნელი ძვალი (დანართი №113);

ჰ$^{81}$) ვეტერინარული სერტიფიკატი ისრაელში ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტების შემცველი შინაური ბინადარი ცხოველის საკვების ექსპორტისათვის (დანართი №114).“.

2. დაემატოს თანდართული შინაარსის დანართები №111-114.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი** — **ოთარ შამუგია**